ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N37

2021 წლის 25 ივნისი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლის მესამე პუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 22 ივნისის N01-14/6867 მომართვის შესაბამისად:

1. 2021 წლის ტურისტული პერიოდისათვის (არაუგვიანეს 2021 წლის 1 ოქტომბრამდე) ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას, რომელთაც საკუთრებაში/სარგებლობაში აქვთ სავაჭრო ობიექტები, ნება დაერთოთ (უსასყიდლო სარგებლობის უფლებით) აღნიშნული ობიექტის მიჯნაზე განათავსონ მცირე ზომის ობიექტები (სანაყინე, მაცივრები და სხვა მცირე ობიექტები). ამასთან, აღნიშნული ობიექტები არ უნდა ზღუდავდნენ საერთო სარგებლობის გასასვლელს (ტროტუარს) 1,8 მეტრზე ნაკლები მანძილით და ობიექტის მიჯნიდან თავსდებოდეს არაუმეტეს 1 მეტრის დაშორებით;

2. დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას კონტროლი გაუწიოს განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობების მკაცრად შესრულებას;

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 ივნისის N24 განკარგულება;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი ნ.თხილაიშვილი